პრეზიდენტ
თომას ს. მონსონის მიერ



"ისწავლეთ ჩემგან"

უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიაში ჩვენ ყველანი ვართ მასწავლებლები და მოსწავლენი. ყველაზე ვრცელდება უფლის ნაზი მიპატიჟება: "ისწავლეთ ჩემგან . . . და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს".[1]

მე ვიწვევ ყოველ უკანასკნელ დღეთა წმინდანს, დაფიქრდეს თავის მცდელობებზე ასწავლოს, ისწავლოს და უყუროს მხსნელს, როგორც ჩვენს წინამძღვარს ამ საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ ეს "ღვთისგან მოვლენილი მასწავლებელი"[2] უბრალო მასწავლებელზე მეტი იყო. ის, ვინც გვასწავლიდა, გვიყვარდეს უფალი, ჩვენი ღმერთი, მთელი გულით, სულით, ძალითა და გონებით და გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი ვითარცა თავი ჩვენი, არის მოძღვარი მასწავლებელი და სრულყოფილი ცხოვრების მაგალითი.

იგი არის ის, რომელმაც განაცხადა: "მომყევით მე".[3] "მე მოგეცით მაგალითი".[4]

მხოლოდ მაშინ, თუ რწმენაში მოიქცევით

იესომ გვასწავლა უბრალო, მაგრამ ღრმა ჭეშმარიტება, რომელიც ჩაწერილია მათეს სახარებაში. მას შემდეგ, რაც იგი მოწაფეებთან ერთად ჩამოვიდა ფერისცვალების მთიდან, ისინი გალილეაში შეჩერდნენ და კაპერნაუმისკენ გაემართნენ. იქ მოწაფეები მივიდნენ იესოსთან და ეკითხებოდნენ მას:

"ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?

"იესომ დაუძახა ბავშვს და ჩააყენა მათ შუაში,

"და უთხრა: შეჭმარიტად გეუბნებით თქვენ: *თუ არ მოიქცევით* და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში".[5]

ეკლესიაში სახარების სწავლების მიზანია არა ინფორმაციის გადმოღვრა ღვთის შვილებზე, იქნება ეს სახლში, საკლასო ოთახსა თუ მისიის არეში. არც იმის ჩვენება, რაოდენ მცოდნეა მშობელი, მასწავლებელი ან მისიონერი. არც უბრალოდ მხსნელისა და მისი ეკლესიის შესახებ ცოდნის გაზრდა.

სწავლების ძირითადი მიზანია, დაეხმაროს მამაზეციერის ძეებსა და ასულებს მის გარემოცვაში დაბრუნებაში, რათა დატკბნენ მარადიული ცხოვრებით მასთან. ამისათვის სახარების სწავლება უნდა აგულიანებდეს მათ ყოველდღიური მოწაფეობისა და წმინდა აღთქმების გზაზე. მიზანია - ცალკეული პირების შთაგონება, რათა დაფიქრდნენ, შეიგრძნონ და შემდეგ რაიმე მოიმოქმედონ სახარების პრინციპებით ცხოვრების გამო. უფალ იესო ქრისტეს რწმენის განვითარების არსია მის სახარებაში *მოქცევა* .

სწავლება, რომელიც გვლოცავს, მოგვაქცევს და გვიხსნის, არის ის სწავლება, რომელიც ბაძავს მხსნელის მაგალითს. მასწავლებლებს, რომელნიც ბაძავენ მხსნელის სიყვარულს, უყვართ და ემსახურებიან მათ, ვისაც ასწავლიან. ისინი შთააგონებენ მსმენელებს ღვთიური ჭეშმარიტების მარადიული გაკვეთილებით. ისინი ისეთი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელთა მიბაძვაც ღირს.

სიყვარული და მსახურება

მხსნელის მთელი მსახურება იყო მოყვასის სიყვარულის მაგალითი. და მართლაც, მისი სიყვარული და მსახურება ხშირად მისი გაკვეთილი იყო. ასე რომ, მასწავლებლები, რომლებიც ყველაზე კარგად მახსოვს, არიან ისინი, რომლებიც იცნობდნენ, უყვარდათ და ზრუნავდნენ თავიანთ მოწაფეებზე. ისინი ეძებდნენ დაკარგულ ცხვარს. ისინი ასწავლიდნენ ცხოვრების გაკვეთილებს, რომელნიც ყოველთვის მეხსომება.

ერთ-ერთი ასეთი მასწავლებელი იყო ლუსი გერტსი. იგი ყოველ მოსწავლეს იცნობდა. იგი ყოველთვის ურეკავდა მათ, ვინც კვირას არ მოვიდა ან უბრალოდ არ დადიოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი ზრუნავდა ჩვემზე" არც ერთს არ დაგვიწყებია იგი ან მისი გაკვეთილები.

მრავალი წლის შემდეგ, ლუსის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მე ვეწვიე მას. ჩვენ გავიხსენეთ ის ძველი დრო, როცა იგი ჩვენი მასწავლებელი იყო. ჩვენ ვისაუბრეთ ჩვენი კლასის ყოველი წევრის შესახებ და იმაზე, ვინ რას აკეთებდა ახლა ცხოვრებაში. მისმა სიყვარულმა და ზრუნვამ დროს გაუძლო.

მე მიყვარს უფლის დარიგება, რომელიც მოძღვრება და აღთქმებში წერია:

"გაძლევთ მცნებას, ასწავლოთ ერთმანეთს სასუფევლის დოქტრინა.

"ასწავლეთ ბეჯითად და ჩემი მადლი გეწვევათ თქვენ".[6]

ლუსი გერტსი ბეჯითად ასწავლიდა, რადგან დაუღალავად უყვარდა.

შესთავაზეთ იმედი და ჭეშმარიტება

პავლე მოციქული გვმოძღვრავდა: "მუდამ მზად იყავით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ".[7]

შესაძლოა ყველაზე დიდი იმედი, რომლის მოცემაც მასწავლებელს შეუძლია არის ის იმედი, რომლის პოვნაც იესო ქრისტეს სახარებაში შეიძლება.

"და რისი იმედი უნდა გვქონდეს"? იკითხა მორმონმა. "აჰა, გეუბნებით, რომ უნდა იქონიოთ იმედი ქრისტეს გამოსყიდვისა და მისი აღდგომის ძალის მეშვეობით, რათა აღსდგეთ მარადიული ცხოვრებისთვის და ეს თქვენი მასში რწმენის გამო".[8]

მასწავლებლებო, აიმაღლეთ ხმა და დაამოწმეთ სამების ჭეშმარიტი ბუნება. განაცხადეთ თქვენი მოწმობა მორმონის წიგნის შესახებ. გადმოეცით ხსნის გეგმის დიდებული, მშვენიერი ჭეშმარიტებანი. გამოიყენეთ ეკლესიის მიერ დამტკიცებული მასალები, განსაკუთრებით წმინდა წერილი, რათა ასწავლოთ იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების ჭეშმარიტებანი მათი სიწმინდითა და სიმარტივით. გახსოვდეთ მხსნელის დავალება "იკვლიოთ წმინდა წერილი, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემზე მოწმობენ".[9]

დაეხმარეთ ღვთის შვილებს გაიგონ, რა არის მათ ცხოვრებაში ჭეშმარიტი და მნიშვნელოვანი. დაეხმარეთ მათ, განავითაროონ ძალა, აირჩიონ ბილიკი, რომელზეც უსაფრთხოდ ივლიან მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე.

ასწავლეთ ჭეშმრიტება და სულიწმინდა დაგეხმარებათ თქვენს მცდელობებში.

"ისწავლეთ ჩემგან"

რადგან იესო ქრისტე იყო სრულყოფილად მორჩილი და მამის ნების დამყოლი, მას "ემატებოდა სიბრძნე და ტანი, და მადლი ღვთისა და ადამიანის წინაშე".[10] გვაქვს გადაწყვეტილი ჩვენც ასევე მოვიქცეთ? ზუსტად ისე, როგორც იესომ მიიღო"მადლი მადლისა წილ",[11] ჩვენც უნდა მოთმინებით და დაჟინებით ვეძიოთ სინათლე და ცოდნა ღვთისა ჩვენს მცდელობებში -ვისწავლოთ სახარება.

მოსმენა არის სწავლის აუცილებელი ელემენტი. როცა ვემზადებით განსწავლისთვის, ჩვენ ლოცვით ვეძიებთ სულიწმინდისგან შთაგონებას და დასტურს. ჩვენ ვუფიქრდებით, ვლოცულობთ, ვიყენებთ სახარების გაკვეთილებს და ვეძიებთ მამის ნებას ჩვენთვის.[12]

იესო "ბევრ რასმე ასწავლიდა . . . იგავებით",[13] რაც მოითხოვდა მსმენელ ყურს, მხილველ თვალს და გულს, რომელიც ამას გაიგებდა. თუ ღირსეულად ვიცხოვრებთ, ჩვენ უკეთ შევძლებთ სულიწმინდის ჩურჩულის გაგონებას, რომელიც "გვასწავლის ყველაფერს და ყველაფერს შეგვახსენებს".[14]

როცა ჩვენ ვპასუხობთ უფლის ნაზ მოწვევას "ვისწავლოთ მისგან", ჩვენ ვეზიარებით მის ღვთიურ ძალას. ასე რომ, მოდით, ვიცხოვროთ მორჩილების სულით, მივყვეთ ჩვენს მაგალითს და ისე ვასწავლოთ, როგორც იგი ასწავლიდა და ვისწავლოთ ისე, როგორც იგი მოისურვებდა, რომ გვესწავლა.

შენიშვნები

1. მათე 11:29.
2. იოანე 3:2.
3. ლუკა 18:22.
4. 3 ნეფი 18:16.
5. მათე 18:1–3;
6. მოძღვრება და აღთქმები 88:77-78.
7. 1 პეტრე 3:15.
8. მორონი 7:41.
9. იოანე 5:39.
10. ლუკა 2:52.
11. მოძღვრება და აღთქმები 93:12.
12. იხილეთ იოანე 5:30.
13. მარკოზი 4:2.
14. იოანე 14:26.

ამ გზავნილის სწავლება

პრეზიდენტი მონსონი გვიწვევს "დავუფიქრდეთ იმას, როგორ ვასწავლოთ, ვისწავლოთ და ვუყუროთ მხსნელს, როგორც ჩვენს წინამძღვარს ამ საქმეში". შეგიძლიათ განიხილოთ წმინდა წერილის კვლევა მათთან, ვისაც სტუმრობთ, რათა იპოვოთ იესო ქრისტეს მიერ გამოყენებული სწავლებისა და შესწავლის ხერხი. შეგიძლიათ დაიწყოთ პრეზიდენტ მონსონის მიერ შემოთავაზებული ამონარიდებით, როგორიცაა მათე 11:29, იოანე 5:30, და მარკოზი 4:2. შეგიძლიათ განიხილოთ, როგორ დაგეხმარებათ ის, რაც შეისწავლეთ ქრისტეს შესახებ, "გახდეთ მისი ღვთიური ძალის მაზიარებლები".

ბავშვები

იესოს შეცნობა

სულიწმინდა გვაძლევს ნუგეშის გრძნობას, რათა დაგვეხმაროს გავიგოთ, რომ იესო რეალურად არსებობს და რომ ჩვენ ვუყვარვართ მას. დაწერეთ ან დახატეთ რაიმე, რაც ისწავლეთ იესოს შესახებ.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, March 2016.* Georgian. 12863 131

ღვთის ხატითა და მსგავსად შექმნილი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ გაზრდის "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

"თქვა ღერთმა: შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსებად. . . .

"და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად ღვთის ხატად შექმნა იგი; და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად" (დაბადება 1:26-27).

ღმერთი არის ჩვენი მამაზეციერი და მან შეგვქმნა თავის ხატათა და მსგავსად. პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა თქვა ამ ჭეშმარიტების შესახებ: "ღმერთი არის ჩვენი მამა, რომელსაც აქვს ყურები და ესმის ჩვენი ლოცვები. მას აქვს თვალები, რომლებითაც ხედავს ჩვენს ქმედებებს. მას აქვს პირი, რომლითაც გვესაუბრება ჩვენ. მას აქვს გული, რომლითაც გვითანაგრძნობს და ვუყვარვართ . იგი რეალურია. იგი ცოცხალია. ჩვენ მისი შვილები ვართ, მის ხატად შექმნილნი. ჩვენ მას ვგავართ და იგი გვგავს ჩვენ".[1]

"უკანასკნელ დღეთა წმინდანები უყურებენ ყოველ ადამიანს, როგორც ღვთის შვილს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით; ისინი უყურებენ ყოველ ადამიანს, როგორც ღვთაებრივი წარმოშობის, ბუნებისა და პოტენციალის პიროვნებას".[2] ყოველი არის "ზეციური მშობლების ძე ან ასული".[3]

"[წინასწარმეტყველმა] ჯოზეფ სმითმა ასევე შეიტყო, რომ ღმერთს სურს, რომ მისმა შვილებმა მიიღონ იგივე ამაღლებული არსებობა, რომელის მას აქვს".[4] რამეთუ ღმერთის თქმით, ეს მისი ღვაწლი და დიდებაა - მოუტანოს ადამიანებს უკვდავება და მარადიული ცხოვრება"(მოსე 1:39).

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

დაბადება 1:26-27; 1 კორინთელთა 3:17; მოძღვრება და აღთქმები 130:1–17

წმინდა წერილიდან

მორმონის წიგნში იარედის ძმა ეძებდა რვა ბარჟისთვის ცეცხლის წაკიდების საშუალებას, რომლებიც იარედელები აღთქმულ მიწაზე უნდა გადაეყვანათ. მან კლდიდან გამოადნო თექვსმეტი პატარა ქვა და ილოცა, რომ ღმერთი თითით შეხებოდა ამ ქვებს, რომ მათ "სიბნელეში გაენათებინათ" და გაიშვირა ხელი ღმერთმა და შეეხო ქვებს სათითაოდ". იარედის ძმას თვალი აეხილა და "მან იხილა უფლის თითი; და ეს იყო თითი ადამიანისა. . . .

"და უთხრა მას უფალმა: გწამს ის სიტყვები, რაც ვილაპარაკე?

"და მან უპასუხა: დიახ, უფალო".

და "უფალი დაენახა [იარედის ძმას]" და თქვა: "ხედავ, რომ ჩემს ხატად ხარ შექმნილი? დიახ, ყოველი ადამიანი დასაბამიდანვე შექმნილი იყო ჩემს ხატად". (იხილე ეთერი 3:1-17.)

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, "I Know That My Redeemer Lives!" 1966 წ. აპრილის კონფერენცია.
2. სახარების თემები: "დავემსგავსოთ ღმერთს", topics.lds.org; იხილეთ ასევე ეკლესიის პრეზიდენტების სწავლებანი:
3. "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2010 წ. ნოემბერი, გვ. 129.
4. სახარების თემები: "დავემსგავსოთ ღმერთს", topics.lds.org; იხილეთ ასევე *ეკლესიის პრეზიდენტების სწავლებანი: ჯოზეფ სმითი* (2007), 221.

განიხილეთ შემდეგი

როგორ გვეხმარება სხვებთან ურთიერთობაში იმის ცოდნა, რომ ყოველი ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად და მსგავსად?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, March 2016.* Georgian. 12863 131